ინფორმაცია

,,საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	
1	საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, მათ შორის წამყვან კომიტეტებში, განხილვების შედეგებისა და წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, კანონპროექტს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მხარდაჭერა აქვს, რამდენადაც ცვლილებებით შემოთავაზებული ყველა ხარჯი დასაბუთებული და მიზნობრივია. ამასთან, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტზე კანონპროექტის განხილვისას განსაკუთრებით აღინიშნა, რომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირებას, რისი პოტენციალიც არსებობს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, ისე ლარის კურსის გამყარებაში. ასევე, საბიუჯეტო ხარჯების შესაძლო ეკონომიების პირობებში, თანხები მიმართული უნდა იქნეს უპირატესად ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად.	საქართველოს მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო იზიარებს კომიტეტის პოზიციას საბიუჯეტო დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირების აუცილებლობის თაობაზე. წარმოდგენილი კანონპროექტით 2023 წლისათვის საბაზო სცენარით, ბიუჯეტის დეფიციტი უბრუნდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობაზე დაბალ ნიშნულს, ხოლო 2021 წელს პოზიტიური სცენარის განვითარების შემთხვევაში დეფიციტის შემცირება 2021 წელს პროგნოზირებული 6.3%-მდე რაც საშუალოვადიან პერიოდში დეფიციტის ზღვრებში დაბრუნების კიდევ უფრო მდგრად გზას გულისხმობს. ამასთან, 2021 წლის განმავლობაში დაგეგმილზე მეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული შემოსავლები სრულად იქნება მიმართული საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად.

საქართველოს მთავრობა განაგრძობს მუშაობას სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან საბიუჯეტო დოკუმენტაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით.